ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4359098

ნომერი: AR1652226

თარიღი : 25.01.2019

გაცემის თარიღი : 01.02.2019

გაცნობის თარიღი : 04.02.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი საარბრუკენი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი შარაშიძე პ/ნ 01009004220
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. კორ. 6 ბ. 19

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: № 1956076
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 24.06.2015

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ირაკლი შარაშიძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: დეფანი არქიტექტურა

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404967595

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: ჯი ემ თი სასტუმროები
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 203842333
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიორგი თავაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 0108002066

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 3611.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 2555.8
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 10701.34
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 706.8
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 2065.67
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 525.58
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 1502.2
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 2456.58
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 1056.97
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 45669.65
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 40495.44
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 5174.21
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 31.25
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 23.13
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 8.12
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1938.1 = 0.5
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 9723.9 = 2.7
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 260.7 = 0.1 (0.07)
- .სასტუმროს ნომრების ფართობი (კვ.მ): 2387.54

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: № 2391286
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 22.01.2016

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : № 2391286
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 22.01.2016

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 25 იანვრის AR1652226 განცხადება. იმისათვის, რომ სამსახურს მიეცეს საკითხზე სრულყოფილად მსჯელობის შესაძლებლობა, წარმოდგენილი უნდა იქნას:

- თქვენს მიერ წარმოდგენილი მინდობილობა ვადაგასულია, ძალაში იყო 2019 წლის 30 იანვრის ჩაათვლით. წარმოადგინეთ განახლებული მინდობილობა;
- საპროექტო მიწის ნაკვეთს კვეთს (01.00.235) ხაზოვანი ნაგებობა, წარმოადგინეთ განმარტება აღნიშნულთან

დაკავშირებით;

- წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ განხორციელებულია სამუშაოები შეთანხმებული პროექტისგან გადაცდომით, ამიტომ წარმოადგინეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალური ინსპექციის მიერ გამოცემული აქტი და საჭიროების შემთხვევაში ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
- გეგმებზე სრულყოფილად მონიშნეთ ის მონაკვეთები, რომელთა ცვლილებაც განხორციელდა;
- წარმოადგინეთ არსებული სიტუაციის ამსახველი სრულყოფილი ფოტომასალა თარიღის ფიქსაციით კორექტირებული მონაკვეთების სრულყოფილი ასახვით;
- MK-ME მონაკვეთში ფასადზე განთავსებული კიბე ზოგიერთ სართულზე არის ნაჩვენები, ზოგიერთზე არა, დააზუსტეთ კორექტირებით კიბეს ინარჩუნებთ თუ არა;
- გეგმებზე გარკვევით დაიტანეთ ჭრილის ხაზები და აცვენეთ სრულყოფილად ყველა ჭრილის ხაზი;
- ფასადი M1-MR შეუსაბამოა გეგმასთან;
- ფასადი RA-M19 არ შეესაბამება გეგმას;
- სიმაღლის განსაზღვრის სქემაში ატვირთული გენგეგმა შეუსაბამეთ კორექტირებულს;
- ფოტომონტაჟში სრულად აჩვენეთ კორექტირებით გათვალისწინებული ცვლილებები, წარმოადგინეთ სხვადასხვა რაკურსიდან ახლო და შორი ხედიდან;
- რადგან მშენებლობის ნებართვას ვადა აქვს გასული საჭიროა მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი გადაიხადოთ სრულად.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-81 დადგენილებით შეტანილ იქნა ცვლილება "ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიციული ან ბირთვული ობიექტის მნიშვნელობისა) ნებართვისათვის მოსაკრებელის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-50 დადგენილებაში , კერძოდ აღნიშნული დადგენილების მოქმედი რედაქციის მე-5 პუნქტის თანახმად მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს ახალასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტესივობის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 4(ოთხ) ლარს, ხოლო საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტის მშენებლობისათვის - 5 (ხუთი) ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა წარმოდგენილ იქნეს შესაბამისი მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;

- წარმოადგინეთ მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი, რომელშიც გაწერილი იქნება დარჩენილი სამუშაოები;
- საჭიროა წარმოადგინოთ საინჟინრო-გეოლოგიური და კონსტრუქციების საექსპერტო შეფასება, რომელიც უნდა ატვირთოთ შესაბამის ველში;

სამსახური დაუბრუნდება საკითხის განხილვას სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ. ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თქვენი AR1652226 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.